ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1163147

ნომერი: AR1202058

თარიღი : 06.03.2014

გაცემის თარიღი : 11.03.2014

გაცნობის თარიღი : 11.03.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კუს ტბის ტერიტორია. ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო ბადაგაძე პ/ნ 01031001699
- თბილისი ს.მეტრეველის ქ. N 18

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს კუსტბაპალასი კოდი: 205080115

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტორულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ლანდშაფტურ- სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N 4-13 გადაწყვეტილების „ ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“მე-19 მუხლის I პუნქტის მიხედვით, ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ), წარმოადგენს თბილისის (ადმინისტრაციულ) საზღვრებში არსებულ ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას, სადაც შესაძლებელია მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობების განთავსება კანონმდებლობის შესაბამისად .

თქვენს მიერ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ლანდშაფტურ- სარეკრეაციო ზონაში სამსახურს შესაძლებელია მიაჩნია მხოლოდ სკამების, მაგიდების, ქოლგების და ბარის განთავსება. ვინაიდან არსებულ ფოტოსურათებში კონსტრუქციები უკვე არსებობს, გაბარიტების უცვლელად შესაძლებელია მისი რეკონსტრუქცია/განახლება, რომელიც შესაძლებელია გადაიხუროს მსუბუქი საჩრდილობლით. რაც შეეხება გარშემო შემოსაზღვრულ წყლის ავზებს მათი მოწყობა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია. ალტერნატივის სახით შესაძლებელია მსუბუქი, დეკორატიული გამწვანებული დაბალი ღობის მოწყობა.

აღნიშნული განსახორციელებლად საჭიროა წარმოადგინოთ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალის საფუძველზე დამუშავებული ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით განახლებული, მეტად რეალური და კარგი ხარისხის ფოტომონტაჟები დეტალურად ზომებისა და მასალების მითითებით.

მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირებული ინფორმაცია შეიცვალოს ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე საჭიროა „ფაილის მიმაგრების“ ველში აიტვირთოს გენგეგმა მაგიდების, სკამების, ქოლგების და ბარის დატანით და შესაბამისი მანძილების და ზომების მითითებით.

რაც შეეხება ნომენკლატურას თქვენის მიერ არჩეულის ნაცვლად არჩეულ უნდა იქნას „დეკორატიული გაფორმების ობიექტები“.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge